

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი — ერთი შაბრი

# ივერიის

რედაქცია: ქ. თბილისი  
ნიკოლოზის ქუჩა, № 195

ტფილისი.  
გაზეთის დასაბარებლად  
და განცხადებებთა დასაბეჭდად  
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვა.  
გამარტ. საზოგადოების კანცელარიის  
ფასა განცხადებისას:  
ჩვეულებრივი სტრუქტორი პირველ გვერდზე  
16 კობ., მეოთხეზე — 8 კობ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

„ივერიის“ ტელეფონი № 227

პირველ სექტემბერდგან წლის დამლევაძღვ კაზ. „ივერიის“  
ჭღირს 4 მან. 75 კაზ.

## ქუთაისის

სანოვლო სამედიცინო სასწავ  
ლებლის

პირველ კლასში შემოსასვლელი  
ეგზამენები დაიწყება 23 სექტემბერს  
და დამთავრდება 25 სექტემბერს  
(2-134-2)

## პეტილის პეიმი

ა. ე. სოლოღაშვილი

მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე  
დილის 9-დან 2 მდე და ნაშუადღევს  
5-დან 7-მდე.

მიხეილის ქუჩა № 32. (10-7-10)

## მქიმი

კ. ი. გელიშვილი

მიიღებს

ეგლისა, ცხვირისა და ყურით  
ავადმყოფებს.

დილ. 9-11 ს., საღამოზე 5-7 ს.  
მიხეილის ქუჩა, ნეჩენცების ეკლესიის პირ-  
დაპირ. Михайловская, противъ кирки.  
(—6.—7)

პირველი კერძო სამკურნალო  
ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)  
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ  
დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანა, 11-12 საათ.  
სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილი-  
სი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

## ფელეტონი

უხსაპაზღვსი დედაპაცი ლონ-  
ღონისა

(მოთხრობა ტ. ფილისისა)

რამდენისავე ხნის ვეჭილად ყოფ-  
ნის შემდეგ, ტედლი კენინგემი აშ-  
კარად დარწმუნდა, რომ ამ ხელო-  
ბის ნიჭი არა ჰქონდა და იმანაც სხვათა  
მიბაძვით, ლიტერატურას მიჰყო ხე-  
ლი. მწერლობა ყოველთვის იზიდავ-  
და ტედლი კენინგემს. ჯერ ისევ  
ბავშვობის დროს ტედლი ისეთს ამ-  
ბებსა სწერდა ხოლმე, რომ იმის  
წამკითხველს თმა ყალბხედ უდგებო-  
და, ხოლო სასწავლებელში სასკო-  
ლო ეურნალშია-კი თანამშრომ-  
ლობდა; მაგრამ, ამისდა მიუხედავად,  
მწერლობას ხელობად აა სთვლიდა  
და ამიტომ განხედ ეჭირა თავი. ხო-  
ლო რა-კი დარწმუნდა, რომ კალ-  
მით კაცს შეუძლიან არა ერთი და  
ორი ათასი მანეთი შეიძინოსო, ტე-  
დლიმ ჯერ გააკვირვა ეს ამბავი, შე-

ვ. მ ჩაქაგანი, 9-10 საათ. სნე-  
ულეობანი: შინაგანი, თვალისა და ნერ-  
ვებისა.

მკურნალი-ქალი. ა. ა. რუდენკო.  
10<sup>1</sup>/<sub>2</sub>—11<sup>1</sup>/<sub>2</sub>, საათ. ქალთა სენით  
და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ  
ყვავილს აუტრის.

ზ. ა. ბაბანასიანცო. — დილის 11<sup>1</sup>/<sub>2</sub>—  
12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ა. ბ. კარაბეგიაძე. 1—1<sup>1</sup>/<sub>2</sub> სა-  
ათ. შინაგანი და ბავშვების.

ბ. გ. გურგო. 1<sup>1</sup>/<sub>2</sub>—2<sup>1</sup>/<sub>2</sub>, ს. ში-  
ნაგანი, და საშარდეს ავადმყოფობის.

ყურის, ყელის და ცხვირის ავადმყოფ-  
სადამოაობით:

გ. მ. მახვილაძე. — 6—7 საათ.  
შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.  
ნერვებისა და კანის სნეულბ.

ბ. ა. ნავასარდიანა — 6<sup>1</sup>/<sub>2</sub>—7 საათ.

ტ. ა. რუდენკო — სამკურნალომ.  
გამოიკვლევს ქიმიურად და მიკ-  
როსკოპიულად შარდს, ნახველს.  
სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტებისა დაწე-  
რის ფასი ათი შაბრი; დარიბთათვის უფ-  
საღ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისა  
თვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალო დაქტო-  
რია შედგინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница Д-ра На-  
васардиана.  
Тифлиси, противъ памяти. Воронцву-  
(7)

## მთავრობის ბანკარგულეობანი

ეგობათ: სამსახურის წელთა შეს-  
რულებების გამო: ტატუაჟიანთა სოცეტ-  
ნაგობა — ლეჩქაჩანის მაზრის პრეზი-  
დენტი

მდეგ ეშმაკს შეაფურთხა და ლიტე-  
რატურას მიჰყო ხელი.

ტედლი კენინგემის ასეთმა საქც-  
ელმა არა ნაკლებ გააკვირვა და გა-  
ნაცვიფრა იმისი მდიდარი მამაც, რო-  
მელიც მწერლობას სამარცხვინო და  
უზრდელ საქმედ სთვლიდა. ვაჭრო-  
ბით გამდიდრებულ და გადიდკაცე-  
ბულს კენინგემს ერთი აზრი და  
სურვილი ჰქონდა, — თავისი შვილი  
ჯენტლმენი გამოეყვანა. ამიტომ  
შვილის ასე გზის გადახვევა და მწე-  
რობის დაწყება მან გვარის დამცი-  
რებად და შერცხვენად ჩასთვალა.  
თუ ტედლის აზრად აქვს, — ჰეიქრო-  
ბდა მოხუცებული მამა — მელნით ქა-  
ლაღები ჰქვამდნოს და ამითი ორი  
ოდგ გროში შეიძინოს, რაღადა ჰყვი-  
რის და ქვეყანას რად ატყობინებს  
ამ ამბავსაო? მამა მაშინაც კი არ და-  
სცხრა და დიდად უსაყვედურებდა  
თავის შვილს, როდესაც ტედლიმ  
უკანასკნელად მიანება თავი სასამარ-  
თლოს კარებს და მელნითა და კალ-  
მით აღიჭურვა. ამისდა მიუხედავად  
მამამ მაინც არ მოუხსო ახლად გა-  
მომცხვარ ლიტერატორს იმ ფულის

პრაკსადგანის საკამომიებელა ნაწილის  
გაბეკს მელიქიშვილს; გოლექსა სეკ-  
რეტრობა: ბათუმის მომრიგებელ სსსა-  
მართლეს ბაქაულს მხეიძე; გოლექს-  
კი რეკონსტრუქობა: რაჭის მომრი-  
გებელ სსსამართლეს მდიანის თანამე-  
წეს კვიტაშვილს, კანცელარიის მესე-  
ლეებს: ქუთაისის ოლქის სსსამართლეს-  
სას — ასათიანს, ქუთაისის ნატარუსის  
ანხივისას — კუჩაიძეს, ხოლო ქუთაი-  
სის ოლქის სსსამართლეს მდიანის  
თანამდებობის აღმასრულებელს სიდავას  
— გოლექსა სეკრეტრობა.

კოს ხმოსანი, მოსწავლეები და მ-  
თი დედ-მამა. კურთხევის შემდეგ ა.  
ა. ივანენკომ სიტყვა წარმოთქვა ამ  
სკოლის დაარსების მნშენლობის  
შესახებ.

## ახალი ამბავი

მისი უმაღლესობა სპარ-  
სეთის შაჰი მუზაფარ ელდინი მომავალ  
1899 წლს განაფხულხვდ სპარსე-  
თიდან პეტერბურგს გამგზავრება  
და მგზავრობის დროს, სხვათა შო-  
რის, ტფილისშიაც დაჰყოფს ორ-სამს  
დღეს.

სპარსეთის შაჰის შვილმა  
შუაუ-სალთანემ წასვლის წინად პო-  
ლიციმეტრის გარდასცა სამი ვერ-  
ცხლის მედალი პოლიციის დარაჯების  
დასაჯილდოებლად.

გუშინ, 10 სექტემბერს, ნა-  
შუადღევს 12 საათხედ, მეფე  
ერეკლეს სახელობახედ დაარსებული  
ქალაქის ავლაბრის სასწავლებელი  
აუკურთხეს. ამ სკოლის კურთხევის  
დაესწრნენ: ტფილისის გუბერნიის  
სერო სასწავლებლების დირექტორი  
ხ. ნ. გროზდოვი, ქალაქის მოურა-  
ვის მოადგილე ა. ა. ივანენკო, ქა-  
ლაქის გამგეობის წევრი თავ. ა. მ.  
არლუთინსკი-დოლოგორუკოვი, სას-  
წავლებელთა კომისიის წევრი, საბ-

მდეგა, რომელსაც წინად ვეჭილო-  
ბის დროს აძლევდა ხოლმე და, ასე  
გასინჯეთ, ხან-და-ხან თავსაც-კი უყა-  
დრებდა და სხვა და-სხვა ეურნალებ-  
ში ჰკითხულობდა იმისს პატარა წე-  
რილებს, რომლ თაც ქვეშ ასოები ე.  
კ. ეწერა ხოლმე. იმ დრომდე-კი  
ეურნალი ხელში არ აუღია და სულ  
გაზეთს ჰკითხულობდა.

ამ რიგად დღეები და თვეები გა-  
დიოდა, ტედლი ლიტერატორობას  
თან და თან მიეჭვია და ამ შრომით  
წელიწადში 1,500 მანეთს იღებდა.  
სწორედ ამ დროს ტედლი კენინგემი  
გაზ. „საზოგადოების სარკის“ თეატ-  
რის მატინესა სწერდა, რის გამოც  
ხშირად უხდებოდა თეატრში სიარუ-  
ლი. არ გასულა ბევრი ხანი, რომ  
ტედლიმ გაიცნო ახალგაზდა და ლა-  
მაზი არტისტი-ქალი ჯესის პომპერ-  
ტონი, რომელიც ის ის იყო სცენა-  
ზედ გამოსულიყო და თავისს ბედსა  
სცდიდა. ტედლის ძალიან მოეწონა  
არტისტი-ქალი და ცოლად შეირთო.  
ამ ამბავმა კენინგემთა ოჯახში მთე-  
ლი აღიქოთი და აურ-ზაური ას-  
ტება.

პოლიციმეტრი აცხადებს,  
რომ 17 სექტემბერს ტფილისის  
მცხოვრებელთა შეუძლიანთ თავიანთ  
სახლები ბიარალებით დაამშვენონ  
და საღამოს გააჩირაღდონ, რადგანაც  
ამ დღეს ტფილისში უნდა მოვიდეს  
კავკასიის ნამესტნიკად ნაყოფი დიდი  
მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძეო.

ტფილისის დედათა პირველ  
გიმნაზიაში ამ წელს 321 ქალ-  
თაგან მარტო 210 მიუღიათ  
და 18 ქალი კანდიდატებად ჩაური-  
ცხიათ, დანარჩენებისთვის კი უარი  
გამოუცხადებიათ ულაგობისა გამო.  
ეს გიმნაზია ამ ყამად საესეა მოსწავ-  
ლე ქალებით. აქ სწავლობს სულ  
1005 ქალი, მარტო მერვე და მეც-  
ხრე საპედაგოგო კლასებში, 97 მო-  
სწავლეთა მაგიერად, ამ ყამად 150  
მოსწავლე იმყოფება.

ბ-ნ გუბერნატორის მიერ და-  
ნიშნულმა კომისიამ გასინჯა 7 სექ-  
ტემბერს სათავად-ახნაურო თეატრი  
და დარწმუნდა, რომ თეატრი საკმა-  
რისად არ არის უზრუნველ ყოფილი  
ცეცხლის წაქიდებისაგან. კომისიამ  
მოახსენა გუბერნატორს, რომ სამ-  
ჯერ გავსინჯეთ თეატრი, სამჯერ  
აღინიშნეთ, როგორ უნდა იყოს შე-  
კეთებული, მაგრამ ყოველივე ჩვენ  
მიერ ნაჩვენები არ არის შესრულე-  
ბულიო. კომისიის აზრით, ამ თეატ-  
რში წარმოდგენების გამართვა არ  
შეიძლება.

გუშინ, 10 სექტემბერს, ქა-  
ლაქის გამგეობას მიმართეს მეფურ-  
ნებმა და სთხოვეს პურის ნიხრის  
ახალგაზდათ ყურადღება არ მიიქ-  
ციეს მამის მუქარასა და ყვირილს  
და ჯვარი დაიწერეს. ტედლი ნება-  
უნებურად შეურიგდა იმ აზრს, რომ  
ამიერიდგან თავისის ოფლით უნდა  
ერჩინა თავი და მამისაგან გროში არ  
მიეღო. ამასთან ტედლი იძულებული  
გაზდა მამის მდიდრულად მორთულ  
და მოწყობილ სახლისთვის თავი მი-  
ენებებინა, ბლუმსბერის სასტუმრო  
ოთახში გადასულიყო, სადაც ჯეს-  
სიც ორიოდგ გროში იღებდა ხოლ-  
მე.

ჯესიმ განაცხადა, რომ ასეთ გა-  
რემოებაში და ხელ-მოკლებობის დროს  
სცენას თავს ვერ დავანებებო და  
ტედლიც ნება-უნებურად დასთანხმადა.  
როგორც წინად, ეხლაც ტედლი  
ყოველ წარმოდგენის შემდეგ თათონ  
აცილებდა თავისს ცოლს. სახლში,  
მხარულის ვახშის შემდეგ, როდეს  
საც ტედლი ბოლთის ცემით მთელს  
ღრუბლებს დაყენებდა ხოლმე ჩიბუ-  
ხის ბოლისას, მეუღლენი ტკბილს  
ოცნებას ეძლეოდნენ იმის შესახებ,  
თუ ტედლი შესანიშნავი რომანების  
მწერალი გახდებოდა და თავისის წე-

მომატება, რადგანაც ფქვილი გაძვი-  
რდაო.

მეფურნები მართალს ამბობენ,  
მაგრამ ისიც მართალია, რომ ყოველ  
დღე ტფილისში დიდალი ფქვილი  
მოდის რკინის გზით. მაგრამ ფქვი-  
ლის ვაჭრობა ხელში აქვთ ჩავარდ-  
ნილი 3-4 მდიდარ ვაჭარს. ეს ვაჭ-  
ბატონები ფქვილს ინახავენ და ძა-  
ლით აძვირებენ.

ეს ვარემოება ნათლად ჰქვამდებდა,  
რომ საჭიროა ქალაქის თვით-მმარ-  
თველობამ განათავისუფლოს ქალა-  
ქის მცხოვრებნი ამ 3-4 ვაჭარის  
ხელიდგან.

გუშინ, 10 სექტემბერს, ქალა-  
ქის გამგეობამ მიმართა ტფილისის  
გუბერნატორს და სთხოვა, ნება მო-  
გვეცით დაეუხვდეთ მისს იმპერატო-  
რების უმაღლესობას მიხეილ ნიკო-  
ლოზის ძეს რკინის გზის ტფილისის  
სადგურზე და წარუდგინოთ დებუტა-  
ცია, რომელმაც უნდა სთხოვოს და-  
ხმარება ტფილისში პოლიტექნიკუმის  
დაარსების საქმეში.

ტფილისის იუნკერთა სასწავ-  
ლებელში ეგზამენები მოხდება ოქ-  
ტომბერში.

ფინანსთა სამინისტროს მისე-  
ლია ტფილისის ზოგიერთ მცხოვრე-  
ბლებისაგან თხოვნა: ნება მოგვეცით  
ტფილისში ფულის შემნახველ-გამსე-  
სხებელი ამხანაგობა დავაარსოთო.  
ამხანაგობას საგნად ექმნება თავის  
წევრთ შეძლება მისცეს ფულის შე-  
ნახვისა და აგრედვე ხელი მოუმარ-  
თოს ხოლმე ვაჭირების დროს.

ტფილისის ებრაელთ განუზ-  
რახავთ იშუამდგომლონ კავკასიის  
მთავრობის წინაშე, რომ ნება მოგ-  
ვეცით დავაარსოთ ტფილისში საკვი-

რით უთვალავს ფულს აიღებდა, და-  
იქირავებენ ორის პატარა ოთახის  
მაგიერ მთელს სართულს, კარგის,  
და მდიდარის ავეჯით მოწყობილს,  
და ყველანი პატრეითა და მოწიწე-  
ბით მოიხსენიებდნენ იმათს სახელს.

მაგრამ პირველის ბავშვის გაჩენი-  
სათანავე ახალგაზდათ მოლოდინი არ  
გაუმართლდათ და ცოტა არ იყოს  
ყურები ჩამოჰყარეს. ამასთან ჯესისს,  
რამდენსამე ხანს, თეატრში თამაშო-  
ბა აღარ შეეძლო და ტედლი იძულებ-  
ბული გაზდა დღე და ღამ ემუშავა,  
რომ საკმაო ფული ეშოვა.

ამ დროს ტედლი თავისის პირვე-  
ლის რომანის წერაში იყო გართუ-  
ლი. უკვე რამდენიმე თვე იქნებოდა,  
რაც ეს რომანი დაიწყო და პატარა  
წერილებსა და მოთხრობების წერის  
შემდეგ რაც თავისუფალი დრო რჩე-  
ბოდა, სულ ამ რომანს ანდამებდა.  
დღისით არ ეცალა რომანის-თვას,  
ამიტომ ღამე, როდესაც ყველას ეძი-  
ნა, მაგიდასთან იჯდა და ჩაჭირკი-  
ტებდა თავისს პირველ რომანს, რო-  
მლისაგანაც ძალიან ბევრს მოე-  
ლოდა.

რომ სკოლის მავარი საშაბათო უფასო სკოლა, სადაც ებრაელთა, რომელთაც არ იციან წირაკითხვა, რუსული წერაკითხვის სწავლა შეეძლოთ.

\* \* \* შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოგზავნილ იქნება ტფილისის გუბერნიის 18 ბეთალი, რომელთაც თვალყური უნდა აღევნონ საზოგადოდ საქონელს და შესაფერი ღონისძიებანი იხმარონ ხოლმე საქონლის ქირის მოსასპობად. პოლიციის თითო ნაწილში დანიშნულ იქნება თითო ბეთალი. მამავალ ოქტომბერს სახელმწიფო საბჭო განიხილავს პროქტს, რომლითაც ღონდა დაარსდეს სმუდამო შტატი ბი. ა. დ. ისა.

\* \* \* ფინანსთა სამინისტრომ 21 ავგისტოს დამტკიცა წესდება ტფილისის საქმერციო სასწავლებლისა, რომელიც დაარსდ ბადაილო რიგვა ქართა ფულით. სასწავლებელში შეიღი კლასი იქნება და ერთი მოსამზადებელი განყოფილება. სხვა საგნებს გარდა ამ სასწავლებელში ასწავლიან: კომერციულს არითმეტიკას, ბუჯალტერიას, საკომერციო კორესპონდენციას რუსულსა და უცხოელს ენებზედ, საბოლიტოკო ეკონომიას, კანონმდებლობას, საკომერციო გეოგრაფიას და სხვ. მოწაფეთათვის საფულდებულო იქნება ორის უცხო ენის შესწავლა (ფრანგულისა და გერმანულის ან ინგლისურისა).

სასწავლებელში მიიღებიან ყველა წოდებათა და სარწმუნოების კაცთა შვილები, თუმცა უპირატესობა ვაქრის შვილებს მიეცემა. ამ სასწავლებელში სწავლა დამთავრებულთ ისეთივე უფლება ექნებათ, როგორც რეალურ სასწავლებელში სწავლა დამთავრებულთ აქვთ.

\* \* \* ამიერ-კავკასიის რკინის გზის სადგურ ტფილისსა, ბათუმსა, ბაქოსა და ხაშურში გზის უფროსს განუზრახავს გამართოს საგანგებო სადგომები, რომელშიაც მოგზაურთ შეუძლიანთ მაბარონ თავიანთი ხელით სატარებელი ბარგი სამისდის ვალით შესანახად. თითო ნივთში დღეში ერთ შაურს გადაახდებიან პატრონებს.

ჯესიცი ყოველს ღონესა ჰლონობდა და ბევრში ეხმარებოდა ქარს. ხშირად ტედლი გაჯავრებული გადისროდა ხოლმე კალამს, როდესაც ბაგშვის ყვირილს გაიგონებდა და ჯესსი, როგორც კარგი და მოხერხებული ქალი, სცდილობდა დაეჩუმებინა ყმაწვილი. ამასთან ჯესი კრიტიკოსიც აღმოჩნდა და იმის შენიშვნები მუდამ გონიერი და გამოსადგვი იყო ხოლმე. შემდეგში ჯესიმ მესაე კარგი თვისებაც გამოიჩინა: როგორც აღმოჩნდა ბუნებას იგი სალიტერატურო აგენტის ნიჭით დაეჯილდოვებინა. თითონაც არ იყო და, თუ ასეთის ნიჭის პატრონი იყო და მხოლოდ შემთხვევით გამოაშკარავდა ეს გარემოება.

ბავშვი ოთხის თვისა იყო, როდესაც ტედლიმ რომანი დასრულა. ეს გარემოება ახალგაზდა მეუღლეთ იდღესასწაულეს მშვენიერის ვახშით, რომელიც ჩვეულებრივზედ უკეთესი იყო. მაგრამ საქმე ის იყო, რომ რომანისთვის სახელი ვერ დაერქმიათ. ბევრი იფიქრეს, ბევრი იწვადეს, მაგრამ სათაური მაინც ვერ

\* \* \* გაზეთი „კავკასი“ სწერს, რომ ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოგზავნილ იქნა კავკასიაში უფროსი რევიზორი გაუწერელ გარდასახდა მმართველობისა ს. ს. მინცლოვი, რომელმაც უნდა შეჭკობოს ცნობები ქაშიშის ვაჭრობის შესახებ იმ ადგილებში, სადაც ვენახები არის. ეს ცნობები საჭიროა იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად სასარგებლო იქნება, რომ უცხოეთიდან მოტანილს ქიშიშს ბაყი დაადონ. ამ საქმეს განიხილავს კრება აქციზის მმართველობათა უფროსებისა ბ. ნ. მილოვის თავმჯდომარეობით. ბ. ნ. მილოვი სხვათა შორის ტფილისშიაც ჩამოვა.

\* \* \* 3 ტერბურგდგან დებეშით სწერენ „ახ. მიმობ.“: დედათა სამკურნალო ინსტიტუტი შესვლა შეუძლანთ იმათაც, რომელთაც შვილი კლასი აქვთ დამთავრებული.

კავკასიაში ზოგიერთ უწყებისაგან მოხელეები იგზავნება ადგილობრივ საქონებათა გამოსარკვევად.

\* \* \* ახალციხედგან სწერენ გაზეთ „კავკასი“, რომ 6 სექტემბერს აკურთხეს ის ადგილი, სადაც მართლმადიდებელთა ეკლესია უნდა იქნას აშენებული.

\* \* \* ჟ. ფოთა. 8 სექტემბერს ქალაქის საბჭოში იყო ხმონების არჩევანი 1898—1902 წლისათვის. არჩეულ იქნენ: ნიკოლაძე ნ. ი. 209 თეთ. 1 შავი, ჰასან ჯალალოვი 203 თ. 7 შ., მიქაბერიძე კ. ი. 202—8, ყრუაშვილი ლ. მ. 198—12, ალანია მ. ა. 192—18, გოგიბერიძე ი. ლ. 175—35, რუხაძე კ. ე. 171—39, დიდა გ. ნ. 171—39, პილიდი დ. გ. 166—43, ქავარაძე ს. ბ. 164—46, გაბელია ბ. 164—46, გროდსკი მ. ი. 164—46, კოქუა ს. გ. 160—48, გრიგოლია დ. გ. (ნოტარიუსი) 160—49, ეგორშვილი პ. ს. 158—52, არუთინოვი მ. 158—52, ჯაიანი ვ. ი. 156—54, გუგუშვილი ა. დ. 154—56, ალხაზოვი მ. გ. 154—56, ზაფათაია ი. ე. 152—58, კილერაძე ნ. ს. 151—59, ტაჩენკო ნ. თ. 150—60, საბახტარიშვილი ბ. რ. 149—61, ევანია

გამოუგონეს. ბოლოს, ბევრის ვაივაგლობის შემდეგ, ეს ძნელი საქმე უმთავრესის გმირის ხასიათმა გადასწყვიტა, მეუღლეთ რომანს უწოდეს: „უუსაძაგლესი დედაკაცი ღონდონისა“. ტედლიმ მსხვილის ასობით დააწერა ეს სათაური ხელნაწერს, ლურჯს ქაღალდში შეახვია, ზედ ბაწარი შემოახვია და თავისუფლად ამოისუნთქა.

მეორე დღისა „უუსაძაგლესი დედაკაცი ღონდონისა“ ბედს სამებნელად გაემგზავრა.

გავიდა რამოდენიმე ხანი და რომანისა არაფერი ისმოდა; მხოლოდ ექსის თვის შემდეგ ამბავი მოვიდა, ე. ი. დაბრუნდა თვით რომანი და იმასთან ერთად პატარა ბარათიც, რომელშიაც მომწერი დიდს ბოდიშს იხდიდა და აცხადებდა: „აწინდელი ვითარება წიგნების ბაზრისა იძულებულ გვყოფს გამოცემელთ, უარი შემოუთვალეთ დიდად პატივცემულს ბ. ნ. კენინგემს“. გაჯავრებულ ტედლიმ ბარათი ცეცხლისაკენ ისროლა და იმის გამოგზავნის ერთი კარგად შეუკურთხა.

ა. 3. 146—64, გოგინავა ს. დ. 145—65, ბეჟუქელიძე კ. ა. 144—66, კაუხჩევი კ. ი. 142—68, კონოვლოვი ლ. ვ. (ინჟინერი) 141—69, სტავრიდი გ. ს. 140—70, საბახტარიშვილი ა. რ. 139—71, ხუნჯუა ი. ს. 135—75, ანდლუაძე მ. 133—77. სულ 32 კაცია, ამათში 22 ქართველია, 4 რუსი, 4 სომეხი და 2 ბერძენი.

კანდიდატებად არჩეულ იქნენ: ნასარიძე ა. ნ. (131 თ.—79 შ.), ტენდელი მ. ბ. (130 თ.—80 შ.), პოფორიძე ვ. ი. (127 თ.—83 შ.), გეოძეგესკი ი. ვ. (126 თ.—84 შ.), გაბუნია ე. მ. (122 თ.—83 შ.), ესაკია მ. პ. (121 თ.—90 შ.), კაკუტია ბახვა (120 თ.—90 შ.) და მაკალათია დ. ნ. (119 თ.—91 შ.)

\* \* \* გამოვიდა უფროსი „მომამე“-ს მე-VII (ივლისის) წერი შემდეგის შინაარსისა: ანტონიის და კლემენტისა. — ხუთ-მოქმედებიანი ტრაგედია უილიამ შექსპირისა, თარგმანი ივ. მაზაბლისა (დასასრული). ჩემი პირველი დრამა. — ჰერმან ზუდერმანისა, თარგმანი ივ. ზურაბიშვილისა. ნამდვილი სამსახური. — ი. პოტაპენკოსი, თარგმანი ეფროსინე კლდიაშვილისა. მძულხარ-მიყვარხარ ლექსი ვაჟა ფშაველასი. გლეხი-კაცის ისტორია. — ერკმან-შატრიანისა, ნაწილი მესამე, თარგმანი ი. მაჭუბინისა, ორი კვირა მთაში. — შუგაზის უნიშვნები, ი. კახლისა (დასასრული). სასოფლო მეურნეობის წარმატება ვეროპაში. — გიორგი გოგლიასი. აფხაზები — ეტნოგრაფიული მასალა, ნიკოჯანაშაისი.

\* \* \* 8 სექტემბერს, დღის 4 საათზედ, ცეცხლი გაუჩნდა თავ. ა. ი. ერისთავის სახლის ქვედა სართულს დიდუბეში. ცეცხლი სწრაფად გაძლიერდა და მხოლოდ დიეტრინის მეშვეობით შეწყობით იქნა ჩაქრობილი. ზარალი პოლიციამ 500 მან. აღრიცხა.

ქალაქის საბჭო

9 სექტემბერი

ოთხშაბათს, 9 სექტემბერს, ქალაქის საბჭოს ამ შემოდგომაზედ პირველი კრება ჰქონდა. ამ კრებას ბევრი არაფერი გაუკეთებია. საღამომ ჩვენის ხმონებისათვის ჩვეულებრივ უმნიშვნელო კამათსა და ლაპარაკში ჩაიარა.

კრების დაწყებისას ქალაქის მოუძრავის თმამდებობის აღმასრულებელმა განაცხადა: „ამა თვის 20—25

რიცხვებში ტფილისს უნდა ჩამოვიდეს მისი იმპერატორებით უმალესობა დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე. დიდ მთავარს მიხეილ ნიკოლოზის ძეს ბევრი უშრომია, ბევრი საკეთილო რამ გაუკეთებია კავკასიისათვის. იგი ეხლაც არ ივიწყებს ამ მხარეს და როცა შემთხვევა ეძლევა, სცდილობს შემწეობა და დახმარება აღმოუჩინოს. ამიტომ ვალდებული ვართ კარგად მივხედოთ მათს იმპერატორებითს უმალესობას და პურ-მარლი მივართოთ. საბჭომ ამ საქმისთვის საჭირო ფული უნდა გადასდოს.“

სმ. ა. ს. ბაბოჯა. ჩვენ უნდა ვისარგებლოთ მისი იმპერატორებით უმალესობის ტფილისში ყოფნით და ვახოვით შემწეობა აღმოგვიჩინოს პოლიტენიკუმის დაარსების საქმეში. ჩემის აზრით, საჭიროა განსაკუთრებული დებუტაცია ავარჩიოთ და იმას მივანდოთ ამის სისრულეში მოყვანა. მთავარ-მართებელს ვთხოვთ იშუამდგომლოს, რომ დებუტაციას ნება მიეცეს მათს იმპერატორებითის უმალესობის ნახვისა და მოლაპარაკებისა.

სმ. ყარაღანოვი. დირს-კი, რომ მამის გამო დიდი მთავარი შევაწუხოთ. საბჭომ დაადგინა დაავალოს ხმ. ბაბოჯის წინადადების სისრულეში მოყვანა იმ კომისიას, რომელსაც პოლიტენიკუმის დაარსების საქმე აქვს ჩაბარებული.

საბჭომ მოისმინა გამგეობის წინადადება იმ კომისიის არჩევის შესახებ, რომელმაც გამგეობასთან ერთად უნდა განიხილოს ტფილისის ცხენის რკინის გზების საწარმოებლად აღების მთხოვნელ ამხანაგობათა წინადადებანი. ამ კომისიის წევრებად საბჭოს მიერ არჩეულ იქნენ ხმონები: ა. ბ. ევანგულოვი, ნ. ი. კარაბეტოვი, თაიროვი, სულხანოვი, ა. ს. ბაბოვი, მღებროვი, ქალანთარი, დოლუხანოვი და გრიჭუროვი.

შემდეგ საბჭო ობოლთა სასამართლოს თავმჯდომარის და იმ სარევიზო კომისიის არჩევის შეუდგა, რომელმაც გამგეობის 1897 წლის ანგარიში უნდა განიხილოს. ამ კომისიის გამო საბჭომ მთელი საღამო ილაპარაკა. ზოგი, განსაკუთრებით ესრედ წოდე-

ბული „კოპოზიცია“, თხოვლობდა სამუდამო სარევიზო კომისიის შესაქმნელად, ზოგი კიდევ წინააღმდეგი იყო ამისა. ბოლოს, როგორც იქნა, საბჭომ დროებით კომისია აირჩია, რომლის წევრადაც დასახელდებულ იქნენ კოლუმბანსკი, ნ. ი. თაიროვი და მირზოვი.

ობოლთა სასამართლოს თავმჯდომარედ, ყორღანოვის ნაცვლად, რომელსაც ამ ნახევარის წლის წინად გაუვიდა ვადა, საბჭომ აირჩია ბორჩალოს მაზრის მომრიგებელ სასამართლოს განყოფილების გამგე სულიევი. ამ თანამდებობაზედ სამს კაცს დაუდგეს ყუთი: სულიევის (ამოუვიდა 25 თეთრი და 22 შავი), ს. დ. ლისციანს (17 თეთ. და 30 შავი) და თავ. ნ. ე. არლუთინსკი-დოლოგორუკის 20 თეთ. და 27 შ.)

მიზიზის დეპოს ავ-პარტი.

6 სექტემბერს მოხდა საგანგებო კრება ქიზიყის დეპოს საზოგადოებისა, რომლის თავმჯდომარედ ამოირჩიეს თ. ნ. დ. ერისთავი. რადგანაც გამგეობის თავმჯდომარემ ბ. ნ. ნ. ნადირაძემ და წევრმა გამგეობისამ ბ. ნ. ნ. ჯავაშვილმა აღარ ინდომეს ხელ-მეორედ ამორჩეულ ყოფილიყვენ, ამისათვის კრებამ ამოირჩია ერთხმად პირველის მაგივრად ბ. ნ. ფილიპე მახარაძე და მეორის ნაცვლად ბ. ნ. იასონ ჩიგოგიძე, მესამე გამგეობის წევრად ბევრის თხოვნის შემდეგ ამოირჩიეს წევრადვე ნამყოფი ბ. ნ. ივანე გომელაური და მეოთხე წევრად ბ. ნ. ნიკოლოზ პოპიაშვილი. ფ. მახარაძეს და ი. ჩიგოგიძეს დაუნიშნეს ჯამაგირი, მეორეებს მიეცემთ ჯილდო მოგებდგან. კრებამ დაადგინა: ყველა წევრმა დეპოსამ იშოვოს რამდენიმე ახალი წევრი, ჩაგონონ: არა-წევრთა უმრავლესობამაც ივაქროს საზოგადოების დებოში, მოიკრიბოს ნისიები და იხმარონ ყოველივე ღონისძიება გამგეობის და დეპოს წევრებმა, რომ დებომ საიდემიციეზო თანხა გაიდიდოს, თავის დროზედ პირდაპირ რუსეთიდან ეხილოს საქონელი და ამგვარად უფრო მეტი სიიაფე ჩამოაგდოს მაზრაში ყოველგვარ სავაჭრო საქონლისა.

შესახებ და იქელი გვაქვს, რომ კეთილ ინებებთ და შემოვივლით ამ კვირის თერთმეტიდან პირველ საათმდე. ტედლისა და ჯესის სიხარულისაგან ცრემლები გადმოსცივდათ.

— დღესვე წავალ, სთქვა ტედლიმ, დღესვე... მაგრამ არა... იქნება ერთისა ან ორის დღის შემდეგ სჯობდეს?..

— ეხლავე წადი, ეხლავე... მაგრამ მართლა, იქნება დაცდა სჯობდეს?.. ძალიან კი მინდა შევიტყო, რას იტყვიან.

ტედლიმ და ჯესიმ ვეღარ მოითმინეს, ერთმანეთს გადაეხვივნენ და სიხარულისაგან პატარა ბავშვებსავით ხტუნვა დაიწყეს. ბოლოს გარდასწყვიტეს, რომ ავტორი ეხლავე წასულიყო და თავისი ხელთნაწერის ბედ-იღბალი გაეგო. ტედლიმ საუკეთესო ტანისამოსი ჩაიცვა, ქული კარგად გაიწმინდა და გზას გაუდგა. (დასასრული იქნება)

ვე მიიღებდნენ. ასე მილიოდა დრო. ერთს მშვენიერს დილას... ოჰ, რა დილა იყო ის დილა!.. ჯესი გამოვიდა წინა ოთახში საუბრისათვის და მაგიდაზედ ბარათი დაინახა.

— ტედლი! — დაუყვირა ქმარს.

— რა მოხდა?

— პასუხია გამოცემელთა როჯენტისა და რაუსაგან წიგნის შესახებ... ჩქარა გამოდი.

— მე რა არის? — დაუყვირა ტედლიმ მეორე ოთახიდან კოლის ხმაზედ არა ნაკლებ აკანკალებულის ხმით.

— ხელნაწერი არ დაუბრუნე იათ! — ჯერ კიდევ დაბრუნებენ, — მიუგო ტედლიმ, ნუ სწუხარ, მეგობარო, ხელნაწერის გამოგზავნას მოასწარე. შემდეგის ფოსტით უკანვე მივიღებთ.

ტედლი სცდილობდა დამშვიდებული ყოფილიყო, მაგრამ როდესაც ბარათი აიღო, ხელემა ძალზედ უკანკალებდა. ბ. ნ. როჯენტი და რაუსწერდნენ, რომ გვსურს მოგვლაპარაკოთ თქვენის ხელნაწერის უუსაძაგლესის დედაკაცი ღონდონისა-ს

გარდა იმისა, რომ სამის წლის განმავლობაში ქიზიყის დეპო 4,277 მ. და 83 კ. მოგება უჩვენა წვერებს და თავის მეოთხე წლის 1286 მ. და 48 კ. ზარალიც (გამოწვეული პურ-ღვინის მოუსაველობის გამო) ხე-მოსხნებულმავე მოგებამ დაჭარა, ამასთანავე სიღნაღის მხარის ხალხს შეჰმატა ამავე ოთხის წლის განმავლობაში რამდენიმე ათასი თუმანი და აი როგორ: სამ წელიწად ნახევარში დეპოს უფარია 116,918 მ. და 46 კ., აქედან — შედარებით კერძო ჩარჩ-ვაჭრებისაგან მეტ ფასად გასყიდულთან — მუშტარ წვერებს თუ არა-წვერებს დარჩენილ უკან ყოველ თითოეულ მანათში 7%-ი, რაიც შეადგენს 8173 მ. და 23 კაპ., გარდა ამისა, ვიდრე დეპო დაარსდებოდა თითქმის ერთი-ორად ჰყიდდნენ ყოველგვარ საქონელს სოფლებში უანგარიშო ვაჭარ-ჩარჩები (ზომში, წონაში, წყვაში, ანგარიშში და საქონლის ღირებებაში მოტყუება კიდევ სხვა იყო), და დეპოს დაარსების შემდეგ კი ყველა ვაჭარ-ჩარჩმა დაიძახა და დღესაც იძახის: „ჰაი, აქეთ, აქეთ, მუშტარებო, ჩვენც დეპოს მაზანდაზედ ვყადითო“. აი, ამგვარად დასცა დეპომ თითქმის მთელს სიღნაღის მხარაში ათასგვარ საქონლის მამასისხლორი მაზანდები, და თუ დეპომ თავის პატარა, მიკროსკოპიული თანხით აღარებელი ჩარჩ-ვაჭრები ვერ შეამცირა, მგლები ტურებდა მაინც აქცია ძალაუნებურად და ამის წყალობით რამდენიმე ათასი თუმანი შეჰმატა ქიზიყს ოთხის წლის განმავლობაში — ეს ყველა გონიერ ქიზიყელისათვის ცხადედ უცხადესია დღეს (ცხადია ისიც, თუ რა საკეთილო გავლენა აქვს ასეთ საზოგადო კრებებს გრძობა-გონებით მიძინებულ ხალხზე).

დასასრულ აქვე დავძენთ მოკლედ ბ. ნ. ნაღრიანის სიტყვას, მიმართულს დეპოს კრებისადმი: „პატარებო, მე გეთხოვებით დღეს თქვენც და ჩემის რის ვაივავალხით დაარსებულ საქმესაც იმ იმედით, რომ ჯერედ ახლად ფეხ-ადგმულ პატარა საქმეს მომავალში დიდ საარაკო საქმედ გადააქცევთ მტკიცე ერთობის ძალ-მადლით. თუ თქვენც მხარს არ მისცემთ დეპოს გამგეობას, თუ თქვენც არ ეცდებით ახალ წვერების შექმნას და მრავალ სხვას, რაც კი დეპოს თანა-აღებ-მიცემობას გაძლიერებს, მაშინ ამ დღევანდელ პატარა თანხით შორს ვერ წავალთ. ვიზრუნოთ ყველამ სხვა და სხვა ღონისძიებით სამოქმედო თანხის გასადიდებლად, და მაშინ, როდესაც საკმაო-სამოქმედო თანხა გვექნება, იმ ჩვენი მილიონების აღებ-მიცემობასაც: სულადისას, ღვინისას, მატყლისას, თამბაქოსას და სხვისას, რომლებითაც სხვები მდიდრდებიან, როდშილოდობენ და მეფობენ, ჩვენვე ჩავიგდებთ ხელში ქვეყნის სიკეთისათვის.

აი, სწორეთ ამ აზრით შეგვიდგინა სამინისტრომაც „ნორმალური წესდება“ და მოგვიჩვენა დღეს ყველას: ამათ, ვხლა მაინც ვახილეთ გონების თვალბი, დაიარსეთ სააღმშენებლო დაწესებულებანი, ნულარ გაატანთ კერძო ვაჭარ-ჩარჩებს ათასგვარ მატყუარობით თქვენის ჰირის ოფლით ნაწვავ-ნადავს მონაგარს და როდესაც ქონების ფიტს მოიკრავთ, მაშინ შეივლებსაც ადვილად გამოზრდით სწავლაში. ყოველთვის გვახ-

სოვდეს და თვალ-წინ გვედგეს, რომ უწინ სპარსნი, ოსმალონი და დანდინელი გვიკლებდნენ, დღეს ისინი კეთილი მეზობლები არიან ჩვენი, განათავისუფლეს ბატონებაც თავიანთ ყმა-მონები, მაგრამ რა გამოვიდა, ვაი სირცხვილო! დღეს ნაბატონრებსაც და ნაყმევებსაც უანგარიშო ჩარჩ ვაჭარ-მოვანშენი გვატარობენ, გვლუბავენ და გვანადგურებენ დღისით-მზისით!.. მაშ ნულარ დავედუპინებოთ სხვებს და საერთო-საზოგადო საქმეში ყველამ გასაძლიერებელი მხარი მივცეთ ერთმანეთს, თუ თავისა და ქვეყნისათვის სიკეთე გვიინდა“.

დეპოს წვერი

### დაბატ სოფელი

(მოწერილი ამბები)

**სოფ. აოლოზანი** \*) (ქუთაისის მაზრა). სოფელი ქალაქიანი მდებარეობს ცხენის-წელის მარჯვენა ნაპირს და შეიქმნა ეს სამოცამდე კომლს. მგონია იშვიათად ასეთი მიკრო-დანი და ღარი-დაცემული სოფელი, რამდენც ქალაქიანი. ამ სოფელს სიმდიდრეს შეადგენდა სიმინდი, რომლის ფასი დიდად დარღმულია და ამასთან მოსავლ-მაც იკლო, ასე რომ წრეულს მწვანად თუ სოფელს წლის საზრდა მოუვიდას სანახევრად მანდ. ამ სიღარიბესთან სწავლა-განათლებლათ ჩამორჩენილია ჩვენი სოფელი. არის სკოლები: სამკვლეო და ერთ-კლასიანი სამინისტრო, მაგრამ ასეთი უთაობა ამ სკოლებში, რომ ძალიან ცოტა ნაყოფი მოაქვს და ვისა ბაჭად, ეს ალგაქმა უწყის; კვლევისა მკვლე და ღარიბი გეგონდა, მაგრამ, რომ იტყვიან: „თითონ არ იყო მძარბო, შავ გარდა წყალოა“, ისე დაგვიმართა ამ სოფელ-ლებს: ის მკვლე კვლევისა და გეგონტეს, ასე რომ შარჯარის საწერა არ გავქვს.

ამ გაზაფხულზე ბრძანდებოდა აქ ყოფილად უსამდეგლოესი ბესარიანი და გეგონტის კვლევისა გაუმჯობესება. ჩვენც შარჯარა მივედით, მაგრამ წინ წამოვდგა უმრავლესობა სოფლისა და განაცხადა, რომ კვლევისა მჭეობა იმ ადგილას, სადაც ესდამ, არ შეგვიძლიან, რადგან შორს არის. მართლაც კვლევისა სოფლის თავშია, ასე რომ სოფლის ერთს თავადგან კვლევისამდე სავა უკნის აქვს, თუ მუტა არა, და კვლევისა აქით მხოლოდ შეიდა კომლი სასლახს. წინა სოფელი ირგველი კრტა კვლევისას, მაგრამ ცხენის-წელ-მა, რომელსაც ყოველ წელს 10—20 ჰექტარის სოფლის მიწა მიაქვს, იმუ-ლებულ ბეუ და გეგონტების ჩვენი კრტა და ასევე ბინა მოგვექმნა; ამასთან ხალხიც გამრავლდა და სოფელმა გაიწია; კვლევისა კი აქვე დარჩა. ყოველად უსამდეგლოესი ურადდება მია-აქცია ხალხის საჩაჯარს და ჰბრძანა, რომ მავის ადგილობრივ გამოსაძიებლად ბლადონის გამოვაგზავნიო. 23 აგვისტოს, კვირას, წაწარგვეს მოკვად ბლადონის განდევნი. გამოკვადი კვლევისადგან და მამა ბლადონისა გამო-გვიცხადა: „მე მოკვად კვლევისა სკამის გამო და ვისაც ესურს კვლევისა გადატანა ამ ქალაქს მოაწეროს ხელი და ვისაც ესურს აქ დარჩეს, იმას“.

\*) ქოლოზანი, ანუ ქოლოზანი, ე. ი. უზანი, სადაც ქოლოზანდ უწინ ქვეთ ყველს წესიერების დამრღვევს.

ამ სიტუაციასთან თითოთ გვიჩვენა ორ ფურცელ ქალაქზე, რომელიც მაგდასხედ ეწო. ხალხი აყუანდა, ზოგი ამბობდა, გადაიტანათ კვლევისა, ზოგი — აქ დარჩეს და შეიტანოსა. ჩვენ ვერ გავიგეთ არ გვიანდა, რდელია ერთი მკარგ დაეთანხმათ და მძუწად მოგვიდათ ხელი ამ წინადაც საქმეს კვლევისა მჭეობისას, ხალხის კვლევისა მჭეობა ვერ არ შეგვიძლიან და მკვლეს შექმნის გავრდა გარდავაკეთებთ.

ამ გავრდა ერთს აზრს ვერ დახდგა ხალხი და მას შემდეგ კი კვლევისა და-კვდილი. ესლას ასე ვართ უწარგა-ლოცოდა. იმედი გავქვს, ყოველად უსამდეგლოესი მიქტევის ურადდება ამ გარემოებას და იხებებს განკარგულებას, რომ კვლევისა გავრდა და ნება მოგვეტეს მისის გარდავაკეთებისა.

ქოლოზნელი ძუძუ

### რუსეთი

მთავრობამ ნება დართო, რომ პეტერბურგში ახალი ყოველ კვირეუ-ლი გაზეთი გამოსცენ. გაზეთს სახე-ლად „ჩაის მოამბე“ ეწოდება.

— რათა საზეითლო ინსტიტუტში მოსწავლე ახალგაზღობას პრაქტიკულად უფრო კარგად შეესწავლონ ბეითლობა, გაზ. „Пер. Вѣд.“ სიტყვით, აზრდა აქეთ დაარსონ ყველა საზეითლო ინსტიტუტთან განსაკუთრებული ფერმები, სადაც ყოველბათ სხვა და სხვა საქონელი.

— სატახტო ქალაქის გაზეთები იუწყებიან, რომ რუსეთის ზოგიერთა ქალაქებში შეამდგომლობა აღძრეს სამოსწავლო ოლქის მზრუნველების წინაშე იმის შესახებ, რომ აწ არსებული ორ კლასიანი დედათა სასწავლებლები ხუთ-კლასიან სამეურნეო-სახელოსნო სასწავლებლებად იქმნას გადაკეთებული.

ამ სასწავლებლებში ასწავლიან სხვა და სხვა ხელ-საქმეს, მებოსტნეობას, მებღალსობას, საქონლის და შინაურის ფრინველის მოშენება-პატრონობას და სხვას.

— საერო განათლების სამინისტრომ შეიმუშავა პროექტი საქმიო და სატეხნიკო სასწავლებლისა. აზრდა აქეთ ასეთი სასწავლებელი პეტერბურგში დაარსონ რომელიმე დიდის ქარხნის მახლობლად. სასწავლებელში მიიღებენ ყველა იმას, ვისაც სამოქალაქო სასწავლებელი ექმნება გათავებული, ან ვინც შესაფერს ვგზამენს დაიქვრს.

### უცხოეთი

**ავსტრი უნბრითი.** სხვა და-სხვა ქალაქებსა და სოფლებში ხალხი იმდენად აღელვებულია იტალიელების წინააღმდეგ, რომ ამ უკანასკნელთ მოსვენებას აღარსად აძლევს. „Figaro“ ს სიტყვით, იტალიელნი შიშით ქუჩაში ვეღარ გამოდიან; ტრეტსკა და ლუბიანში მცხოვრებელთ რამდენჯერმე გამართეს მანიფესტაციები იტალიელების წინააღმდეგ. ყველა ის მალაზიები და ლუქნები, რომელნიც იტალიელებს ეკუთვნოდა, გაძარცვეს და განადგურეს. მცხოვრებელნი თხოულობენ, რომ მთავრობამ განდევნოს ავსტრი-უნგრეთი-

დან ლუკენის თანამემამულენი. იტალიელი მუშები თითქმის ყველა ქარხნებიდანა და მალაზიებიდან დაითხოვეს. საზოგადოთ, ამ ყამად ავსტრი-უნგრეთის მცხოვრებელნი ეროვნობისა და წოდების განურჩევლად იმდენად აზიან გაბრაზებულინი იტალიელების წინააღმდეგ, რომ ამ უკანასკნელთ ავსტრიის და უნგრეთის აღარც ერთს სოფელსა და ქალაქში აღარ გავევლებათ.

— ავსტრიიდან დღემოთ იუწყებიან, რომ ავსტრიის პოლიციამ და-აპატიმრა რამდენიმე ანარქისტი, რომელთაც, როგორც ამბობენ, იტალიის შემეკიდრე პრინციის ცოკლა ჰქონიათ განზრახულიო. პრინციამ დღევანდებში ავსტრიის უნდა მოვიდეს, ანარქისტებს გარდაუწყვეტიათ ვენაზედ გავლის დროს მოეკლათ პრინცი.

— გაზ. „Neve Freie Presse“-ს კორესპონდენტი, რომელიც ლუკენის გამოკითხვას დასწრებია, სწერს: „როდესაც გამოძიებულმა ჰკითხა ლუკენს: „თქვენ რომ შე-მთხვევა მოგცემოდით, გაიმეტებდით და მოჰკლავდით მეფე ჰუმბერტოს ან კრისპინ-შო ამ უკანასკნელმა მიუგო: რაც შეეხება მეფე ჰუმბერტოს, იმას დიდის სიამოვნებით მოვკლავდი, ხოლო კრისპინ-ს ხელს არ ვახლებდი. რას ბრძანებთ, კრისპინ ხომ ქურდია, იმან ნახევარი მილიონი ლირი მოიპარა. მე რომ იმის ადგილას ვყოფილიყავ, უფრო ბევრს მოვიპარავდი. ქურდების წინაშე-კი თავი უნდა მოვიდრიკოთ და ქული მოვიხადოთ. მე ქურდს არასოდეს არ მოვკლავო. ამ სიტყვებს ლუკენი ღიმილით ამბობდა“.

ერთის სხვა გაზეთის თანამშრომელისათვის ლუკენს თავის ბიოგრაფია უამბნია. „თუმცა პარიუ-ში დაიბადე, უთქვამს ლუკენის, მაგრამ იქ დიდი ხანი არ მიცხოვრია. რამდენისამე წლის შემდეგ პარმის თავ-შესაფარში მიმხარეს. როდესაც ათის წლისა შევსრულდი თავ-შესაფარიდან გამომიშვეს და მითხრეს: წადი ეხლა და შენის შრომით იშო-ვე ლუკმა-პურიო. ოც წლამდის პარმსა და იმის ახლო მახლო ადგილებში ვმუშაობდი, მერე ჯარის-კაცად ვიყავი ნეაპოლსა და კანემატში. სამხედრო ბეგრის ვადის შესრულების შემდეგ არაგონელ ჰერცოგს მოსამსახურეთ დაუდექი. თუმცა თითქმის ყველგან კარგად მექცეოდნენ, მაგრამ მე ერთი აზრი მაინც მოსვენებას არ მაძლევდა. ეს აზრი-კი ის იყო, რომ მე ანარქისტად ვიყავი მოწოდებული და ჩემი მოვალეობა უნდა აღმესრულებინა. ამის გამო სამსახურს თავი გავანებე და იტალიაში წავიდე. იქ რვა თვე ქვის მთლელად ვიყავი და შემდეგ ავსტრიისაკენ გავწიე. ვენაში ორი კვირა დავიყავი და ამ ხნის განმავლობაში ორჯელა ვნახე იმე-რატრიცა. იტალიის ელჩის დახმარებით უფასო ბილეთი მომიცეს რკინის-გზით წასასვლელად ვენიდან ფიუ-ვედი. აქ პოლიციამ დამიჭირა, დამაპატიმრა და ოთხის დღის შემდეგ საზღვარგარეთ გამგზავნა. ხელ-ახლა იტალიის სხვა-და-სხვა ქალაქებსა და სოფლებში დავიწყე მუშაობა. ამა წლის გაზაფხულზედ ლოზანში წავიდი, სადაც გულმოდგინეთ დავიარებოდი სოციალისტთა და ანარქისტთა კრებებზედ. ამის შემდეგ სად წავიდი და რა ჩავიდინე

ყველა კარგად უწყით, ამ დროებზე ჩემი საქმე ვაკეთებდი, რამდენიმე მაქვს ამ საქმისათვის ნაიუქარი შივი-ლებ“.

**პოლანდია.** გაზეთები იუწყებიან, რომ ანარქისტებმა ამას წინააღმდეგ პოლანდიის ახალ გაზდა დედოფლის ვილჰელმინის მოკვლაც განიზრახესო. დედოფალი ამსტერდამის მახლობლად, თავის სასახლეში იმყოფებოდა, საიდგანაც ხშირად ეტლით სასეირნოთ დადიოდა თურმე. ერთხელ, ასეთის სეირნობის დროს, როდესაც დედოფალს თან ახლდნენ სამი სეფე-ქალი და ერთი მოსამსახურე, უცხად მახლობელ ტყიდგან სამი კაცი გამოვარდნილა და სამჯერ რევოლვერი უსროლიათ დედოფლისათვის. პირველი ტყვია გრაფინია ლიმბურგ-შტირუმს მოჰხვედრია, დანარჩენი, სანდენიეროდ, არავის მოხვედრია. ამ შეპყრობილ ბოროტ-გამზრახველმა მაშინვე განაცხადა, რომ ანარქისტი ვარო“.

**საშრანდითი.** პარიეიდგან დღემოთ იუწყებიან: „ახალი სამხედრო მინისტრი თანახმაა, რომ განხილულ იქმნას დრეფტის საქმე. ხმა და-დის, რომ ოქტომბრის ნახევარში დრეფტს ეშმაკის კუნძულიდან პარიუში მოიყვანენ და იმის საქმის ხელ-ახლა განხილვას შეუდგებიანო“. საზოგადოდ, როგორც ამ ბოლოს დროს მოსული დღემებში და გაზეთები იუწყებიან, დრეფტის საქმის ხელ-ახლა განხილვას წინ აღარაფერი უდგა. მართალია, რესპუბლიკის პრეზიდენტი არ თანაუგრძობს აწინდელ სამინისტროს განზრახვას, მაგრამ მაინც და მაინც ის წინააღმდეგი არ არის საქმის განხილვისა. ფელიქსტორი ამბობს მხოლოდ, რომ უპარლამენტოდ მავ საქმეს ნუ გარდაუწყვეტო, პარლამენტის კრებას დაუცადოთო. გაზ. „Maten“-ის სიტყვით, სჯულის საქმეთა სამინისტროსთან ახლად შემგარმა კომისიამაც, რომელსაც მაინდეს საბუთის ქალაქების გაჩარკვა, ერთხმად დაადგინა, რომ დრეფტის საქმე ხელ-ახლა უნდა იქმნას განხილულიო.

— გაზ. „Tems“-ი, რომელიც წინააღმდეგი იყო დრეფტის საქმის ხელ-ახლა განხილვისა, სწერს: „გენერალმა ცურლინდენმა განაცხადა, დარწმუნდი, რომ დრეფტის დამნაშავეაო. თუ აგრე, მაშ ბნი ცურლინდენი რალად არის წინააღმდეგი საქმის ხელ-ახლა განხილვისა? თუ დრეფტისა დანაშავე, იმის გამოართლება ყოველად შეუძლებელია. მაშასადამე საქმის ხელ-ახლა განხილვით არავინ არაფერს არ წავაგებს. პირ-იქით ხალხი დაწყნარდება და მინისტრის სიტყვაც გამართლდება. ცურლინდენი რომ პატიოსანი კაცია, ეს ყველასათვის აშკარაა. მაგრამ ასეთს საქმეში მარტო პატიოსნება ვერაფერს გააწყობს. შეიძლება ცურლინდენი ისევე ტყუვდებო, როგორც მოტყუდა კავენიაკი, რომელიც ანრის მიერ შეთხზულ წერილის შესახებ, ჯვარსა და სახარებას იფიცავდა, რომ ეს წერილი ყალბი არ არისო. აი, ამიტომ არის საქმიო საქმის ხელ-ახლა განხილვა. საზოგადოება მხოლოდ მაშინ დაწყნარდება, როდესაც ყველა-სათვის აშკარას ჰყოფენ დრეფტის

დანაშაულობას ან უდანაშაულობას. — დღემდის სამხედრო წოდების კაცნი ერთხმად გაიძახოდნენ, რომ დრეფტუსის საქმის ხელახლა განხილვა შეუძლებელია, დღეს კი მათ შორისაც ბევრმა იცვალა აზრი და სხვას ამბობს. აი, მაგალითად, სხ. ა. თა შორის, რასა სწერს ვაზ. „Eran ce Militare“ ში პოლოკონიკი ფ. როაერი: „შესაძლებელია, რომ იმ სასამართლოს წევრები, რომელმაც დრეფტუსის საქმე განიხილა შესტდენენ, მით უმეტეს, რომ, როგორც ამ ბოლო დროს გამოაშკარავდა, ბევრი საბუთის ქაღალდი ყალბი ყოფილა, ბევრმა მოწმემ განგებ ხელი დააუარა სიმართლეს და ტყუილი სიტყვა ამიტომ საჭიროა საქმე ხელახლა იქმნას განხილული. ამ საქმეში კრძო კაცის, სულ ერთია კავენიაკი იქმნება გი თუ ცურლინდენი, აზრსა და აწმენას ადგილი არა აქვს. დრეფტუსის დანაშაულება, მაგრამ ეს რწმენა ჩვენთვის საიღობებოო არ არის. მხოლოდ მაშინ დაიჯერებს ხალხი ამას, როცა ეს საქმე ხელახლად იქმნება განხილული“.

ჩადილლ-ამერიკის უმართავი უბათბავი. ვაზ. „New York Herald“-ს ვაშინგტონიდან დრეფტით ატყობინებენ: „მინისტრთა უკანასკნელ კრების დროს წევრთა უმეტესობამ ის აზრი წარმოიტყვა, რომ ამერიკას უნდა შემოუერთოთ არა მარტო კუნძული ლიუცენი, არამედ სრულიად ფილიპეს კუნძულები“.

### ნაყვესი

- ბოკტ-ფიდასოფასსა ჭკითხეს:
- რა უფრო მსუბუქია ბუბუფიკად?
- ჭკარი.
- რა უფრო მსუბუქია ჭკარხად?
- ზეფიარი.
- რა უფრო მსუბუქია ზეფარხად?
- დედატაბა.
- რა უფრო მსუბუქია დედატაბად?
- ზღაზღაფი ქვეყანაზედა, უმასუსა.

მართული იყო ანა ელექტრონის მანქანით. დრეფტებს ჰგზავნიდა მარკონის თანამემწე დედოფლის ოჯახობის თანადარწრებით, რომელიც ხშირად მოდიან ხოლმე ამ საოცარის ტელეგრაფის სადგურში.

ავსტრიის იმპერატორის ელისაბედის მოკვლის გამო ეურნალ-გაზეთებს მოჰყავთ ცნობები, რომლებიც დანაშაულს სჩიან, რომ გაბსბურგების საიმპერატორო გვარეულობის წევრნი საზოგადოდ უზედღური ყოფილან. კონსტანტინე მარკონი თავი მოიკლა (30 იანვარს 1889 წელს, მარკონის სასახლეში). ჰერცოგინა სოფია ალანსონისა დედოფლის ელისაბედის და ცეკლში დაიწვა (1897 წელს, პარიზში); იმპერატორი მაქსიმლიანე I მექსიკელი, ძმა იმპერატორის ფრანც-იოსებისა, მოკლულ იქნა მექსიკაში (19 ივნისს 1867 წელს), ერცჰერცოგინა ჰელენი, ზიდაშვილი იმპერატორისა, ცხენიდან გადმოვარდა და მოკვდა (1894 წელს, ბადენში); ერცჰერცოგი იოანე, ძმის წული იმპერატორისა ზღვაში დაიარა სამხრეთ ამერიკის ნაპირებთან; მეფე ლიუდვიგ II ბავარიისა, ზიდაშვილი იმპერატორისა ელისაბედისა კეუზელ შვიზალა და წყალში თავი დაიარა, (13 ივნისს 1886 წელს); გრაფმა ლიუდვიგო ტრანიმ, სიცილიის პრინცმა, ჰერცოგინა მარტილას ქმარმა (მარტილამ იმპერატორის ელისაბედის და იყო) თავი მოიკლა ციურხში; ერცჰერცოგინა მარტილამ, დის წული იმპერატორისა თავისსა კეთარს სასახლეში დაიწვა. ერცჰერცოგი ვლადისლავი მოკლულ იქნა თავისის საკეთარის თოფით, რომელიც ხელში ეჭირა და უცაბედად გავარდა; ეხლა მოკლულ იქმნა ანარქისტის ლუკენის მიერ იმპერატორისა ელისაბედის.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების გამგეობამ მიიღო 1898 წლის მარტომთისთვის განმავლობაში:

- 1, საქვერო ფული:
  - 1, თამა ზაქარიას ძენსიძისაგან (ნაწილი) 1 მ.
  - 2, მიხეილ იოსების ძე ფიცხელაურისაგან 6 მ.

სულ 7 მ.
- 2, ყულაბებით შეგროვილი ფული:
  - 1, ქრისტეფორე იოსების ძე მამაკაშვილისაგან 10—10 კ.
  - 2, ვარლამ იოსების ძე კიჭიჩაძისაგან 21—36

სულ 31 მ. 46 კ.
- 3, შემოწირულება მუხუშის ფონდისთვის ხარლამში პეტრეს ძე დლონტისაგან შეგროვილი ყულაბით 43 მ.—

### დეკემა

(რუსეთის დეკეშათა სააგენტოსაგან). 10 სექტემბერი

სიხლა. უკანასკნელ კვირის განმავლობაში ბომბების 149 კაცი გახდა ავად შავის ქირით, მთელს ოლქში ამავე ხნის განმავლობაში გარდაიცვალა 3,000 სული, 4 სული კურაში გარდაცვალა. 2—კალკუტში, 12—მადრასის საპრეზიდენტოში, 8—ბანგალორში.

ტანდია. ჩაბარეს ჯერ-ჯეროთ 1.600 ცალი თოფი. ინგლისის ელჩმა გამოუცხადა ქრისტიანეთა წინაძლოლს პოტსდელსუს, რომ ინგლისის მთავრობის წარმომადგენელთ იკისრეს იმისი პაუზის გება, რომ მ.ჰმადიანებს არა დაუშავებთ რაო. ამიტომ თუ მ.ჰმადიანებს თავს დაესხა ვინმე ეს ინგლისელებზედ თავს და ხმად იქმნება ჩათვლილიო.

სოფია. ბოლგარიის საკათედრო ტაძრის კურთხევაზედ დასაწერებლად

კონსტანტინეპოლში წავიდა გუშინ კანსაკუთრებული მატარებელი 800 კაციო.

ბუნოს-აირისი. ჩილი და არგენტინის რესპუბლიკის მთავრობათა შორის აზრთა სხვა და სხვაობა მწვავედებო.

კონსტანტინეპოლი. აკურთხეს ბოლგარიის საკათედრო ტაძარი. კურთხევას დაესწრნენ; მარკოვი, რუსეთის სადესპანოს წევრი და საელჩოს მოხელე. ოსმალებს დიდი სამხედრო სამზადისი ჰქონდათ, მაგრამ წესიერება არ დარღვეულა.

ჟანდია. თოფების დარიგება არ შეწყვეტილა. ოსმალთა ელში 25,000 მდე თოფი უნდა იყოს. მეამბოხეთ პირობა მისცეს, რომ თუ მოგვესია ვინმე, ვეცდებით მოგვრებას, ხოლო ჩვენ არავის დავესხებით თავსაო.

იოკაპაპა. გრაფ მურავიოვის მოწერილობის შესახებ იაპონიის მთავრობამ უპასუხა, რომ მე ვუერთდები კონფერენციის მოწვევის აზრსაო.

პოლიტ. კორესპ. იუწყება რომიდან: „იტალიის მიერ თავსდებული საქმე ანარქიზმის წინააღმდეგ საერთო შორისო ბრძოლის გაწევის შესახებ უკვე დაიწყო. ამ საგნის გამო დღითა სახელმწიფოთ ერთმანეთს შორის დიდი მიწერ-მოწერა აქვთ. ამ მიწერ-მოწერიდან აღმოჩნდა, რომ ყველგან უწინდელ უფრო მეტად ჰკრძობენ საკიროებას, რომ ამ საქმეში სახელმწიფონი ერთმანეთს მჭიდროდ მიემხრნენ. რამდენიმე კაბინეტმა იტალიის წინადადების მიღებისათანავე თანხმობა განაცხადა. მტკიცე იმედი აქვთ, რომ საერთო თანხმობა ამ ახლო ხანში მოხდება.“

პარიზი. კამისია, რომელსაც მინდობილი აქვს იმ მოთხოვნის განხილვა, რომ დრეფტუსის საქმე გადასინჯულ იქნასო, — იუსტიციის სამინისტროში შეიკრიბა. კომისიის დადგენილების შესახებ ჯერ არაფრის გაგება არ შეიძლება. კომისიის აზრი მინისტრთა საბჭოს სამზამთს ეფუძვება.

შეტარებულა ბარჯა, 9 სექტემბერი

მნიშვნელობა	მნიშვნელობა	მნიშვნელობა
მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
5% -ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად - აზნაურო ბანკისა . . . . .	216 1/2	—
4 1/2% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . . . .	—	97
6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . .	101	—
5% იმავე ბანკისა . . . . .	100	—
6% ტფილისის სათავად - აზნაურო ბანკისა . . . . .	—	—
5% იმავე ბანკისა . . . . .	100 1/2	—
5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . . .	99 1/2	—
5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . . . . .	—	291 1/2
5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . . . . .	—	253 1/2

### შემაწირულება

წინარების სკოლის შენობის ასაგებად ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების გამგეობამ შემოსწირეს ხის მასალა ქველ-მოამქმედთ, რომელთაც ეს გამგეობა დიდ მადლობას უძღვნის. აი სია შემომწირველთა: თურა შემოსწირეს: ნიკო დავლიანიძე 1, სოლომან დავლიანიძე 1, სააკა მუსალიძე 1, თედო ფარიაშვილი 1, სიმონ ბრეგვაძე 1, თედო გებელიშვილი 1, ბეია ჩიხრაძე 1, ტოგრან ვართანოვი 6, ალასია ტერ ასატუროვი 6, ქიტეს ალაფიძე 1, პეტრე ჯაფარიძე 1, იოსებ ნეფარიძე 1, გიგო დემეტრეშვილი 1, ვანო კაციტაძე 2, ნესტორ ინასარიძე 1, გეორგი ნერსესიანი 2, ვანო ინასარიძე 1, სერგო ინასარიძე 1, ლუარსაბ მესხი 1, ბიჭია ინასარიძე 1, შაქრო იორდანიძე 2, იატაკის ფურცლი: ყარაბაზ ვლნიცი 3, გიორგი ხორბალაძე 1, მიხეილ მესხი 1, ვასო ბეცაშვილი 1 და ალაბგე ოხანოვი 2.

### განცხადებანი

წინამძღვრით - კარის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის საგან

პირველ სექტემბრიდან პირველ ოქტომბრამდე ამა წლისა წინამძღვრით-კარის სასოფლო სამეურნეო სკოლაში მიიღებიან ჯანმრთელი ყმაწვილები, არა ნაკლებ ათის წლისა, ყველა წოდებისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა.

ვისაც სურვილი აქვს სკოლაში ყმაწვილი მიიბაროს, იმან უნდა პირად, ანუ წერილით განუცხადოს თავისი სურვილი სკოლის მმართველს, ანუ მზრუნველს ილია ივანეს ძეს წინამძღვრის შვილს (მომრიგებელ მოსამართლეს ქალაქ თბილისში), წარმოადგინოს ყმაწვილის წლოვნების მოწმობა, სინოდის კანტორიდან მიღებული, ან მღვდლისაგან მიცემული აღმოწერილობა წლოვნების წიგნიდან, და იმ სკოლის მოწმობა, სადაც ბავშვს უწინ უსწავლია. გამოცდა ყმაწვილებისა მოსამზადებელ კლასის პირველ განყოფილებაში არ იქნება, მხოლოდ ვინც მოსამზადებელ კლასის დანარჩენს განყოფილებაში შესვლას მოინდომებს, იმას უნდა ჰქონდეს შესაფერი მომზადება და სწავლა.

სასწავლო სკოლის კურსის შედეგად: გენს: 1) საღმრთო წერილი, 2) ქართული და რუსული ენები, 3) არითმეტიკა და პრაქტიკული გეომეტრია, 4) სამშობლოს შესწავლა, მოკლე გეოგრაფია რუსეთისა და საზოგადო მიმოხილვა ქვეყნებისა, 5) ბუნების მეცნიერება, 6) სამეურნეო საგნები: მიწის შემუშავება, მებაღეობა, მეცხრობა, ვაზის მოვლა-მოშენება, ღვინის დაყენება, საქონლისა და აბრეშუმის ქვის მოვლა-მოშენება. მეფუტკრეობა და სასოფლო მეურნეობის ანგარიშის ცოდნა, 7) ხატვა, 8) საეკოლოგიო და საერო გალობა, 9) სწავლა ხელოსნობისა: დურგლობისა, მჭედლობისა, და ჩილინგრობისა (სლესარობისა.)

სკოლაში ყმაწვილები უსასყიდლოდ მიიღებიან სწავლას და ყველა სასწავლო ნივთებს, მხოლოდ დედამამ, ანუ იმათმა მოადგილემ უნდა ყმაწვილს სოფელში ბინა უშოვოს, ჩააცვას და დახუროს.

შორის მხრიდან მოყვანილ ყმაწვილებისთვის სოფ. წინამძღვრით-კარში გამართულია სკოლის ხარჯით 30 შეგირდისთვის სადგური. ყველა საქმეს ამ სადგურისას თვით სკოლის კრება განაგებს. თითო შეგირდის შესანახავად დანიშნულია თვეში შეიდი მანეთი. ყმაწვილს დილა საღამოს მიეცემა სტაქანი ჩაი, ანუ რძე პური და სწავლის შემდეგ სადილი, ორი კერძი: ხსნილში სახსნილო და მარხვაში სამარხო. კვირა-უქმეში კი სამი კერძი. კვირაში ერთხელ ყმაწვილებს საცვალი გამოეცვლებათ.

ვისაც ჰსურს მიიბაროს ყმაწვილი სკოლის სადგურში, იმან უნდა წარმოადგინოს წინათ მთელი წლის შესანახი ფული 84 მანეთი; უკეთუ შეგირდი წლის შესრულებამდე სადგურიდან გავიდა, მაშინ ეს ფული უკან იმათ დედ მამას აღარ დაებრუნებათ და დარჩება სადგურის სასარგებლოდ.

ყმაწვილს უნდა ჰქონდეს რკინის საწოლი, ქვეშაგებ ექვსი ხელა საცვალი, პირისახოცები, ბალიში სპირები, ზეწურები და სამი ხელი სკოლისათვის დაწესებული ტანსაცმელი-ერთი საზამთრო და ორი საზაფხულო.

Аптека  
Келлерская  
КАРМАННАЯ  
ДОРОЖНАЯ  
Аптечка  
содержит 20 необходимых средств и предметов для оказания первоначальной помощи при всякой наиболее встречающейся болезни, поранении и пр., с восстановлением.

ФАБР-ТОРГ. Т-ВА  
„Р. Келлеръ и Ко“  
ВЪ МОСКВѢ.

ПРОДАЖА  
вездѣ и всюду.

ПРОДАЖА